

კინგის მათემატიკის ოლიმპიადა - I ტური

მე-10 კლასი

ძირითადი სავარჯიშოები (40 ქულა):

1. რამდენი გამყოფი აქვს 961-ს?
A. 6 B. 3 C. 9
2. a^4 იყოფა 8-ზე. რომელია სწორი?
A. a^4 აუცილებლად იყოფა 64-ზე
B. a^4 აუცილებლად იყოფა 32-ზე
C. a^4 აუცილებლად იყოფა 16-ზე
3. რა ციფრი დგას $\frac{3}{13}$ -ის ათწილადურ ჩანაწერში მძიმის მარჯვნივ 28-ე ადგილზე?
A. 7 B. 2 C. 9
4. ამოხსნით უტოლობა: $-x \times 6 < -(205 - 5^2)$
A. $x \in (-30; \infty)$ B. $x \in (30; \infty)$ C. $x \in (-\infty; 30)$
5. საფეხბურთო ტურნირში 19 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირი დამთავრდა მას შემდეგ, რაც თითოეულმა გუნდმა x მატჩი ჩაატარა. რას შეიძლება უდრიდეს x ?
A. 7 B. 12 C. 17
6. მინიმუმ რამდენი ბავშვი უნდა სწავლობდეს სკოლაში, რომ აუცილებლად მოიძებნებოდეს ამ სკოლის 26 მოსწავლე, რომელთაც ერთსა და იმავე რიცხვში აქვთ დაბადების დღე?
A. 373 B. 776 C. 923
7. რამდენი ფესვი აქვს განტოლებას $9 \times |x| - (841 - 20^2) = -441$
A. 1 B. 2 C. არც ერთი
8. რამდენი განსხვავებული რიცხვი ჩაიწერება 1 ცალი 5-იანით, 2 ცალი 3-იანით და 2 ცალი 4-იანით?
A. 40 B. 120 C. 30

ბონუს სავარჯიშოები (10 ქულა):

9. სამკუთხედში ერთ-ერთი კუთხე დანარჩენი ორის ჯამის ტოლია. რას უდრის უდიდესი გვერდის სიგრძე, თუ მცირე გვერდებია 20 და 21?
A. ასეთი სამკუთხედი არ არსებობს B. 13 C. 29
10. მაქსიმუმ რამდენი სიმეტრიის ღერძი აქვს ტრაპეციას?
A. 4 B. 1 C. 2